№ 66
კვირა, 24 მარტი 1896

1877—1896

№ 66
კვირა, 24 მარტი 1896

ივერია

ბაზეთი ლირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
სიკოლოოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
ბაზეთის დასაბარებელად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227

ქრისტეაღსდგა!

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 29 მარტს.

ქუთაისი

ქალაქის ახალი თეატრი
სამშაბათს, 26 მარტს;
ტფილისის ქართულ თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

დღესასწაულობა

ახალი თეატრის გამო

II

პირველი ბუზი

ოპერეტა 3 მოქ., გადმოკ. ვ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. ვ. ს. მესხისა, კ. ჩარქვიანი-ანდრეასი, ჩხეიძისა, ალილანისა, ჩიკოიძისა და სხვ. ბ.ბ. ვ. ალაშვილი, კ. ყიფიანი, კ. მესხი თ. ნ. კრასოვსკი ვ. გუნია ს. სვიმონიძე, კორინთელი, კარბელი, თომაშვილი და სხვა.

ბილეთების წინდაწინვე ყიდვა შეიძლება ვ. ი. ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

მზადდება წარმოსადგენად: „მადამ სან-ჟენ“, „მეფეა“.

მეორე წარმოდგენა ხუთშაბათს, 28-ს, მესამე—კვირას, 31 მარტს.

გამგეები: ვ. ალაშვილი.
კ. მესხი.
ადმინისტრატორი ვ. გუნია.

დროებითი კომიტეტი

რომელიც წყალ-დიდობისა და დიდის თოვლიანობისაგან დაზარალებულ ქუთაისის გუბერნიისა და ტფილისის გუბერ. გორის მაზრის მცხოვრებთა სასარგებლოდ შესდგა, უმორჩილესად სთხოვს მსურველთ შემოწირულება კომიტეტის თავმჯდომარის კნ. ე. ნ. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის სახელზედ გაჰგზავნონ ხელმე. (ლორის მელიქოვის ქუჩა, საკუთარი სახლი).

ფელეტონი

* * *

ნუ, ნუ მიგალობ მე ქრისტე აღდგაბ,
სალხინო პასუხს ჩემგან ნუ ელი,
რადგან ამ ჩემს გულს ღრღნისა და
სტენჯავს
კვლავ ძველებურად ჩუმი ნაღველი!
ნუ, ნუ მილოცავ მკვდრეთით აღდგენას
და სიკვდილისას დამხობას მარად.—
ვერ გამოვიძებ ადვილად რწმენას
აღსატაცებლად და გასახარად.
წარვიდნენ დღენი სიყმაწვილისა,
ღრღნონი სიტყვა აღარა მჯერა,
ახლა გულს მიკლავს დაჩაგრულისა
ტანჯვის სულრის ქვეშ გულისა ძგერა.
წითელი კვერცხი აბა რად მინდა,
ან და პასექი, ამბორი შენი,
ოდეს მადლს ჰმუსრავს, სწვამს არა
წმიდა,
სიმართლე ვმინავს ირგვლივ სხივ
მფენი?!..
არა, არ მინდა, არც მიამება
დღეს ეგ გალობა, სიმების ყელრა,—
ესდენ ვიებამ თვით სასოება
პირქვე დამიმხო, გამიცამტვერა!...
ნუ, ნუღარ ჰგალობ დღეს ქრისტე
აღსდგაბს,
ცრემლს ნუღარ სახავ მსხვილ მარ-
გალიტად,—
ხომ ხედავ, ირგვლივ უიმედობასა—
და ვისგან ელი მაშ „ჯეშმარიტად“?!..

გრ—ა.

ფიქრი გარწყინვალე აღდგომის გამო.

ქრისტე აღსდგა!

მაგრამ ყველა ქრისტიანმა ქართველმა-კი იცის—რა ღრმა მნიშვნელობა და დიდი აზრი აქვს ქრისტეს აღდგომას? — ეკკლესია ასწავლის, რომ დღევანდელი ბრწყინვალე დღე უდიდესზედ უდიდესი დღესასწაულიაო, იგი დღესასწაული ცხოვრების მიმნიშებელიაო. ერთი სეეკკლესიო მქადაგებელი იქამდე აღტაცებულია აღდგომის სიდიადითა ⸗ ცხოველ-მყოფელობით, რომ ამბობს—თვით უსულო ბუნებაც-კი სიხარულისაგან მკვდრეთით სდგებაო, იღვიძებს და სიცოცხლეს იწყებს ამ დღესასწაულ დღესაო.

რასაკვირველია, თუ კი მართლა ბუნებაც-კი ასე იცვლება, ეს მხოლოდ ხილული და გარეგანი აღდგომის თვისება უნდა იყვეს. ხოლო მისი შინაგანი არსება და ბუნება სულ სხვაა, მისი მნიშვნელობა და აზრი უცვალებადი, ეს მნიშვნელობა და აზრი საუკუნოა. რა არის ეს მნიშვნელობა და აზრი აღდგომისა? აღდგომა იმიტომ აღიარებულია „დღესასწაულთა დღესასწაულად“, რომ იგი ცოდვილ და ცდომილ კაცობრიობის აღდგენას შეადგენს, ხოლო აღდგენას სრულს—ზეციურს და ქვეყნიურს, სულიერს და ხორციელს. ეს აღდგენა ტყიერი და წარმავალი არ არის, იგი უსამზღვრო და მიუწდომელი მისწრაფებაა, იდეალია, რომელიც თანდაყოლ სივრცეში წინ მიდის და მიეშურება. აღდგომა ჭეშმარიტებისა და სიმართლის აღდგენა ⸗ დამყარებაა, ცოდვისა და ბოროტის დამარცხებაა, მადლისა და კეთილის ძლევა მოსილობაა. ეს დიდი და საუკუნო საქმე შესძლო მხოლოდ მაცხოვარმა, ძემ ღვთისამა. მაგრამ შესანიშნავი უფრო ის არის, რომ საქმაო არ იყო ზეციური მოძღვარი ქვეყნად მოვლინებოდა კაცობრიობას, სიტყვით და ქადაგებით სიმართლეს და ჭეშმარიტებას მოეფინა, ეუწყებინა საზოგადოებისათვის, არა,—დიდი და საკაცობრიო საქმე თხოულობდა, რომ ამ საქმის მტვირთველს ჯერ ტანჯვა და გვემა მიეღო და მერე სიკვდილით სიკვდილი დაეთრგუნა. უდიდესმა მოძღვარმა ესეთი მაღალი გვიჩვენა, ესეთი მცნება დაგვიდო. ახლაც ხშირად ტანჯვა და გვემაა ხოლმე საქმრო სიმართლისა და ჭეშმარიტების მისაღწევად, დიდისა და საქვეყნო საქმის შესასრულებლად. და მართალს ამბობს პოეტი, რომ სადაც კაცი სიმართლესა და ჭეშმარიტებას ქადაგებს და ამყარებს, იქვეა მისი გოლგოთაო...

დიაღ, დღევანდელი დღესასწაული კაცობრიობის აღდგენის მომასწავებელია და აღდგენა კიდევ ის არის, როცა საერთოდ კაცობრიობა და კერძოდ თვითეული ქრისტიანი ერი ჭეშმარიტებას და სიმართლეს ესწრაფება და მისდევს, ამ ჭეშმარიტებისა და სიმართლისათვის თავს სდებს, ტანჯვასა და სიკვდილს არ მიუბრალ, არ უფრთხის. ზემოდაც ხომ აღვნიშნეთ, რომ თვით იესო ქრისტემ თვისის მოღვაწეობითა და ცხოვრებით დაგვიმტკიცა, რომ ხსნა ცოდვისაგან შესაძლო მხოლოდ მაშინ, როცა ჭეშმარიტების და სიმართლის ღაღადს ზედ მოსდევს თავ-განწირულება და მსხვერპლი. ვი მას, ერია იგი თუ ცალკე კაცი, რომელსაც ესეთი სულის ძლიერება არა აქვს! იგი არაა სოდეს არ ელირსება აღდგომას და აღდგენასა... ხოლო აღდგენა, სულიერი თუ ხორციელი, გონებრივი თუ ზნეობრივი, მაშინ ენიჭება ადამიანსა და საზოგადოებას, როდესაც იგი მიმადლებულს ტალანტს უქმად არ ინახავს, მუდმივ და დაუცხრომელივ, სიმხნითა და სიმტკიცით მისდევს წარმატებას, განვითარებას, წინმსვლელობას. აღდგომისა და აღდგენის დედა-აზრიც სწორედ ესეთი პროგრესია. მაგრამ ხომ ყველა ერთნაირად ცხებული არ არის ამ ღვთაებრივის მადლითა. აგერ ცხრამეტი საუკუნეა, რაც ქრისტე აღსდგა, მაგრამ ჯერაც გონებითა და ზნეობით აღდგენა მრავალისათვის გაუგებარი მოძღვრებაა, აგერ რამოდენი ხანია, რაც მაცხოვარმა სიკვდილით სიკვდილი დასთრგუნა, მაგრამ ჯერაც ბევრისათვის ხსნა და შვება არსადა სჩანს!..

თხუთმეტი საუკუნეა, რაც საქართველოს ბაზეთებიდან ამოღებულია

ახალი ამბავი

*** ნაადგომევს ბ-ნ ალექსი-მესამოწოდებულ ბ-ნ ალექსანდრ ალექსის-ძე ბ-ნ ალექსეევ-ალ

ხიშვილის მეთაურობით ტფილისის არტისტთა ამხანაგობა ქ. ნ ავალიშვილისა, საფაროვისა, ბ. გედევანოვისა, შათირიშვილისა და კანდელაკის მონაწილეობით ქუთაისის თეატრის არტისტებთან ერთად გამართავენ წარმოდგენებს ქუთაისში.

*** გზათა სამინისტროში არჩეულ კომისიამ ამ დღეებში უნდა განიხილოს სხვათა შორის პროექტი ამიერკავკასიის რკინის გზის უმთავრეს ლიანდაგის მიმართულების შეცვლის შესახებ. განზრახულია მიმართულება ყვირილიდამ რიონზე შესცვალონ და პირდაპირ ქუთაისსზე გაიყვანონ გზა. („მოსკ. ვედ.“)

*** მალე სახელმწიფო საბჭო განიხილავს, სხვათა შორის, შავი ზღვის ნაპირა მხრის მოწყობის კანონ-პროექტს. („მოსკ. ვედ.“)

*** სამოწად მოქმედი და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განკარგულებით 15 აპრილს უნდა მოხდეს ქუთაისში შავი-ქვის მრეწველთა კრება. (ნ. ვრ.“)

*** „ნოვ. ვრ.“ სიტყვით, პეტროგსკის მალე უთავდება იჯარის ვადა და გაზეთი „მოსკ. ვედომ.“ ცნობილის რომანისტის სალიასის ხელში გადადისო.

*** წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთ-საცავს შემოსწირეს: 1) ნიკოლოზ გაბრიელის ძე ასათიანმა—7 სხვა-და-სხვა ხელთ-ნაწერი წიგნი, 20 სხვა-და-სხვა ქართული და უცხო ძველი სპილენძის ფული და 1 გაქვავებული კბილი; 2) ქრისტეფორე ამბაცაშვილმა—1 ხუცური ხელთ-ნაწერი; 3) ანტონ ფურცელაძემ—6 ხელთ ნაწერი წიგნი და სიგელი; 4) კოსტ. თავართქილაძემ—5 ხელთ ნაწერი წიგნი; 5) მღვდელმა ესტატე მირიანაშვილმა—14 სხვა-და-სხვა ქართული ხელთ-ნაწერი წიგნი; 6) მარიამ ლეონიძემ ერთი ხელთ-ნაწერი წიგნი; 7) ივანე მაჟავარიანმა—3 რუსული წიგნი და 8) ვ. კოპტონაშვილმა—ორი სპილენძის ქართული ფული.

საზოგადოების გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

თველოს მოეკლინა ქრისტიანობა, ათას-ხუთასი წელიწადია, რაც ჩვენს სამშობლოს მოეფინა ქრისტეს წმინდა მოძღვრება, მისი ჭეშმარიტი სწავლა. იყო ხოლმე დრო და ჟამი, როცა ჩვენთვისაც ქრისტიანობას ცხოველმყოფელი ძალა ჰქონდა და ქრისტეს აღდგომა გონებრივსა და ზნეობრივს აღდგენას მოასწავდა. მაშინ ქართველი არც ტანჯვასა და მსხვერპლს ერიდებოდა, ჭეშმარიტებასა და სიმართლეს თავს სწირავდა, სიკვდილითა, სიკვდილს სორგუნავდა. ჩვენი ისტორია სავსეა ამგვარის ამბებითა იგი თითქმის პირველ სტრიქონიდან უკანასკნელამდე მარტიროლოგიაა, წამებულთა და გვამულთა მამულიშვილთა ცხოვრების მოთხრობაა. არა ერთხელ მომხდარა ისეთი შემთხვევაც, როდესაც თვით ამ ბრწყინვალე დღეს ღვთის მოსავთა სავანეში რამდენსამე ათასს მამულის-შვილს თავი მსხვერპლად შეუწირავს ჭეშმარიტებისა და სიმართლის ტრაპეზზედ და, მაგალითებრ, ასეთი უდიდესი სისხლის ზვარაკი შეიწირა გარეჯის უდაბნოში, სადაც აღდგომა დღეს განმძვინვარებულმა ურჯულოებამ ცეცხლითა და მახვილით მოსპო მრავალთა ათასთა ქართველთა სიცოცხლე... სწორედ მაშინ ითქმოდა, რომ აღდგომა სულითა და გულით აღდგენის ნიშანიაო. ხოლო ჩვენს დროს დღეევანდელი ბრწყინვალე დღე ცარიელი უქმე დღეა, მცონარეობისა და უსაქმობის დროა. გონებითა და ზნეობით აღდგენას, ძღიერებას და სიმტკიცეს ვინ-ღა იტყვის. იგი ნატვრისა და ოცნების საგნად გარდაგვექცა, უიმედო და უსასოო მისწრაფებად გარდაგვექმნა. ტყუილად-კი არ ეუდერება კრემლ-მორეული პოეტი ზეცას, რომ

„ჩვენი ივერი აღდგეს ძღიერი
და დდგეს ერად სხვათ ერთა შორის
ზნე ამაღლებით, ძღეგის დიდებით,
სამშობლოს მიწის სიყვარულითა!..
რომ განვიდეიმენ, სულით და განვახლდეთ
და განქრეს ბნელი უმეცრებისა!..

საქმე იქამდე მივიდა, რომ ნატვრად და ოცნებად შეგვექმნა ის, რაც ყოველ ქრისტეს-მადიდებელ ერის კუთვნილებას და საკუთრებას უნდა შეადგენდეს. აწინდელ დროს აღდგომას ჩვენთვის მხოლოდ გარეგანი მნიშვნელობა თუ აქვს, ეს აღდგენისა და განახლების მომასწავებელი და გამომეტყველი დღესასწაული საეკკლესიო ჩვეულება თუ არის, თორემ სხვა არაფერი. ხოლო

*** რკინის გზის უფროსი ბ-ნი ვედენეევი და ინჟენერი აკორონკო 21 მარტს, საღამოთი, ბელაგორს წავიდნენ დაზიანებულის გზის დასათვალიერებლად.

*** ასტრახანიდამ გვწერენ, რომ იქ განსვენებულის იმერეთის ეპის-კოპოსს გაბრიელის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გარდაუხდიათ.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი „ასის წლის შემდეგ“ ედუარდ ბელლამისა, თარგმნილი დ. კალანდარიშვილის მიერ. წიგნი შეიცავს 272 გვერდს და ღირს მანეთად.

*** როგორც მოხსენებული გვქონდა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის საზოგადო კრება 20 აპრილისათვის არის დანიშნული. როგორც 1895 წლის ანგარიშიდამა სჩანს ამ წლის განმავლობაში სესხი მიუცია 482-ისათვის, 2,697,800 მან. აქედამ ა) დიდ ვადიანის სესხიო მიუციათ: 1) სოფლის მამულების გირაოთი 57,—406,200 მან., 2) ქალაქის მამულებზედ 278,—1,918,000 მან.; ბ) მოკლე-ვადიანის სესხით, ნაღდ ფულად: სოფლის მამულების გირაოთი 55,—121,500 მან., 2) ქალაქის მამულების გირაოთი 91,—252,100 მან. საანგარიშო წელსბანკს შემოსავალი ჰქონია 280,224ს მ. 14 კ.; წმინდა მოგება—225,551 მან. 39 კ. (ეს მოგება წარსულის 1894 წლის მოგებას 14,441 მ. 44 კაპეიკით აღემატება). წლიურ ანგარიშის განხილვის გარეშე საზოგადო კრებას წარედგინება შემდეგი საგნები: 1) განიხილვენ და დამტკიცებენ მომავალის 1896 წ. ხარჯთ-აღრიცხვას; 2) მოახსენება იმის შესახებ, თუ როგორ იქმნას განაწილებული საყოველთაო საეროებისათვის გადადებული თანხა; 3) მოახსენება იმის შესახებ, რომ სესხი მიეცესთ ვენახების გირაოთი; 4) მოახსენება იმის შესახებ, რომ ბანკის საზოგადო კრებები წარმომადგენლობითის უფლებით იქმნან შეიკრებენ; 5) მოახსენება კონვერსიის შესახებ 6%-ნი გირაგნობის ფურცელთა, რომლებიც გამოუსყიდველნი

ᲐᲑᲘᲗᲘ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

I

ზამი იყო მრავალ-მეტყველი... ზეალტაცი... ზეადმფრენი!.. ზამი იყო უცნაურის საიდუმლოებით მოცული, შემმოკვეული ყოვლის მძლრაობისა... სტიქიონსავით ძლიერი!..

ყველა სდუმდა, ყველა, ერთისს გარდა!.. ასს, ორასს, სამასს ადამიანს ერთი ყური გამოჰბმოდა, ერთი თვალი! ყველა სჭვრეტდა ერთსა და იმავე სანახავს, ისმენდა ერთსა და იმავე ჰარმონიას, სძგერდა ერთისა და იმავე გულით...

ᲛᲝᲠᲬᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

Ⅰ

ᲬᲘᲜᲐᲡᲢᲧᲝᲕᲐ

ᲛᲔᲠᲛᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔ

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔ

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔ

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔ

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ

ლის თავი და ბოლო იყო სიყვარული, სიყვარული და სიყვარული, და როდესაც ხალხი უდარბდა პირველდელს სურათს—მეორეს, შესწორებულს, განდიდებულს, აღმაღლებულს, იგი გაკვირვებით, მხოლოდ გულწრფელად-კი, თაყვანსა სცემდა ამ დიდებულს მხატვარს...

აი, მინელდა თან-და-თან აღმაფრენა მქადაგებლის, მიილუსა, მიიფერფლა მგრძნობიერება, ვით ღუმელში ცეცხლი, იგი მოიქანცა, მოსწყდა და, თვალებზე კურცხალ-დაკიდებული, იქვე ქვაზე მიეშვა, მიესვენა... ხალხი-კი, სუნთქვა შეკრული, გაშტერებით მისჩერებოდა მას, ვინც პირველად გააგონა და დაანახვა ძლიერება, სიკეთე და მადლი სიყვარულისა მოყვასისადმი...

ბოლოს-კი გამოერკვა, რა აღარ შემოესმა ტკბილი ნარნარი ხმა მასწავლებელისა და, რა დაინახა იგი დაქანცული, მსოფლიოსათვის ცრემლის მფრქვეველი, მოწიწებითა და მოკრძალებით მიუახლოვდა ამ ქვეყნის ჭირისუფალს და სასოებით ამბორ-ჰყო მისს თეთრს სამოსელს, რომელიც სიყვარულით, ნაოქ-ნაოქად დაჭფენოდა გამხდარ სხეულს...

მერე-კი ნიავსავით დაიშალა, წავიდა-წამოვიდა აღვსილი იმ მტკიცე რწმენით, რომ იგი იყო თვით ღვთაება—ქვეყნის მხსნელად კაცად მოვლინებული...

II

წამი იყო სულის-მომწყვლელი!.. ზარ-დამცემი, სასოწარმკვეთი!.. წამი იყო ჯოჯოხეთის მსგავსი და დარი!..

ყველა ხმაურობდა, ყველა ყოყმანებდა, ერთის გარდა!.. ხალხის ძახილი, ვით ცის გრგვინვა, ისე ედებოდა იმ არე-მარეს, ჰაერს ჰკუმშავდა, სულს უხუთავდა, სწმლავდა... ვით მთის ღვართქაფი, აღკოფებული, ლაფ-მოგდებული, მოიკლაკნებოდა, მოქშოდა იგი ძახილი და ყოველისფერს სვრიდა, ანადგურებდა...

ხალხი ზვავობდა, ხალხი ჰბობქრობდა... თვითვე ჰგმობდა, თვითვე სთელავდა ფეხით თავის კერპს, თავისს ღმერთს!.. ის სიწმიდე, ის ღვთაებრივი ძალა, რომელიც თითონ მანვე აღიარა, აღარ ჰსუფევდა... იგი გამსჭვალა მხეცურ სურვილს, რაც შეიძლებოდა მალე დაემსხვრია, დაეგმო თვის გულში აღგებული ხელთ-უქმნელი ტაძარი სიწმიდისა!..

იგი „წუთი“-ს შვილი იყო, „წუთი“-თ სცხოვრობდა და ამ წამს ნეტარებდ მიაჩნდა წამება იმ კაცისა, რომელსაც გუშინ თავისს მეფედ და ღმერთად აღიარებდა.

და ის-კი, ბრალდებული, იდგა მისს წინ, ვით კრავი მგლის ხროვის წინაშე... ფერ-მიხდილი, ქანც-წყვეტილი, სისხლში მოსვრილი, მოთმინებითა და კრძალვით ისმენდა ხალხის სამართალს... თავზე დადგმული ეკლის გვირგვინი სჩხვლეტდა მას, როგორათაც ნემსი, მაგრამ ყოველი ტკივილი, ყოველი განგმირვა სხეულისა ზეცად აღაპყრობინებდა ხოლმე თვალს და ჩუმად, ტუჩების ოდნავის ტოკვით შეჭღაღადებდა ქვეყნის შემოქმედს, რათა მას, დაუშორებელსა ნაკადულს განტევებისას, ეპატივებინა ხალხისათვის ყოველნი შეცოდებანნი, „რამეთუ არა უწყიან, რასა იქმან“.

მხოლოდ ბუნებას ეგრძნო—რაც ხდებოდა ახლა მისს გარშემო, დაღონებულიყო, გულ-ჩახვეულიყო, პირისუფალსავით აფრქვევდა ცრემლებს და ვინ იცის ვისა სტიროდა, ვისა გლოვობდა—სასიკვდილოდ განწირულს, თუ სასიკვდილოდ გამწირველს?!

ხალხი-კი ისევ მძვინვარებდა, ფრთოლავდა, გუგუნებდა და მის გუგუნი, ბოროტებისაგან დამანჯილ ბაგეთაგან აღმოხეთქილი, მოჰხუუნებდა, მობორგავდა, ვით ზარბაზნის ყუმბარა და დიდებულ მოძღვრის ფერხთა წინაშე მიწას ასკდებოდა, ინარეთხებოდა და მერე ათას ტოტად იშლებოდა, თითქოს რაღაც გრძნეულება ხელსა ჰკრავდა, შორსა სტყორცნიდა და ახლოს არ აკარებდა ამა სიწმიდეს!...

და როდესაც დადგა ის საშინელი წუთი, რომელიც კაცობრიობის მეხსიერებიდგან არასოდეს არ ამოიფხვრება, როგორათაც სამარცხვინო ოქმი ბრალდებისა, როდესაც ხელით შეებნენ ქვეყნისათვის თავდადებულს, ვით ნადირნი—ისე ჰგლეჯდნენ მას, სისხლად სწურავდნენ—უნდა გენახად—რა რიგად ლიტანიობდა მაშინ ხალხი?! ის ხალხი, რომელიც რამდენისამე დღის წინად,—ფიანდაზად ეგებოდა მას, მის ფეხის ნადგამზე ლოცულობდა, როგორათაც სიწმიდეზე!.. ახლა-კი იგი ჯოჯოხეთურად ხარხარებდა და თანაც ხელების პარპაშვით განწირულისაკენ მიიწევდა; თვითეულს მათგანს უმაღლეს ვალდებულებად მიაჩნდა, თავისს სჯულად სთვლიდა ხელით შეპხებოდა თავისს წინასწარმეტყველს, დაემცირებინა იგი, მიწაზე განერთხო... პირზე ცოფ-მოკიდებული ხალხი ხარხარებდა და ამ ხარხარში პატარა ბავშვების უმანკო კივილი ზეკ-ზეკით დაჰქროდა, დაჰფარფატებდა, თითქოს ვერ შეჰსისხლ-ხორცებოდა ცოდვილ ხალხის ღრიანცელს...

— სიკვდილი მემამხეს, სიკვდილი თვალთ-მაქს!.. ჰგრგვინავდა გრიგალსავით გამხეცებული ადამიანი...

— სიკვდილი მემამხეს, სიკვდილი თვალთ-მაქს!.. ყრუდ იმეორებდა არე-მარე... მხოლოდ ერთი ცა, ძძით მოსილი, მდუღარე ცრემლებს აფრქვევდა ქვეყნის უგულრებას!..

ი. ელეფთერიძე.

ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲐᲐ ᲦᲐᲛᲔᲡ.

(ესკიზი).

I

ესეც შენი აღდგომა!.. გლოვის ზარი მხიარულებად გარდაიქცა, დაღვრემილ, დათენთილ ნაცნობებს სახე გამოუფხიზლდათ, დაღრეჯილობა სიცილ-კასკასად შეეცვალათ, ნუ-თუ მართლა გულიდგან გადაეფერთ ღელვა ბოროტებისა? დაეკითხა თავის-თავს ახალგაზდა ოქრო და მოწყვეტილი ლოგინზე მიეგდო. ხშირ-ბინდი იყო—აღდგომის ღამე—და მთელი ქალაქი ფეხზედ იდგა, ლიტანიის დაწყებას ელოდა. არ ეძინებოდა ოქროსაც და მეორე ოთახში მობუზღუნე ცოლს ყურს უგდებდა...

— აღდგომაა, აღდგომა და ჩემი ბატონი-კი ხელ-ცარიელი მომიბრძანდაო... შემოესმა ოქროს და გულმა შემოჰკვნესა, მწარედ ამოიოხრა...

— ეჰ! ერთი კიდევ ამოიგმინა ოქრომ და ფანჯრისკენ გადაბრუნდა.

ოქროს პატარა სახლი მტკვრის პირად იდგა და ფანჯრებით მდინარეს გადაჰყურებდა. შორიახლო აჰყუდებოდა მთა-წმინდა, რომელიც ღამის ზეცადიადში გამურულ ვეშაპივით გაწოლილიყო და შავ-ბნელად გამოიყურებოდა.

ოქრომ თვალი შეავლო მთა-წმინდას, მერე გადაიდო თავისს ღარიბად მოწყობილ ოთახებს, ყური მიუგდო მტკვრის ბუტბუტს, ქალაქის ხმაურობას, კვლავ გაიხსენა დიადი ღღესასწაული და ფიქრებში გაეხვია. იდო უძრავად თვალებ დაჭყეტილი და მისჩერებოდა მთა-წმინდის ქედსა... კვლავინდებურად დამშვიდებული რომ ყოფილიყო, გამოუთქმელ ნეტარებას იგრძნობდა ტფილის-ქალაქის მხეთვან ლრაჯის მზერით, მისის თავ-გადასავლის მოგონებით, თავის სულის კვეთებას დიად წარსულ განუწყვნებდა და გამხნევდებოდა ცხოვრებასთან საბრძოლველად, მაგრამ ამ ჟამად ცოლის ჩივილმა, გული მოუკლა და თავისი სიღარიბე გაუთვალისწინა, უიმობელ ბრძანებლათ წარმოუდგინ.

— ჩემი ბატონი ხელ-ცალიერი დაბრუნდაო,—გაიმეორა ოქრომ და მოგონდა ცოლის უკმეხი მოპყრობა... მოგონდა მისი პირველი შეხვედრაც ფიცი ერთგულება-სიყვარულის მწარედ დაიღრიჯა და წარბებ შეკუნვნილი უარესად დაუშტერდა მთწმინდას, თითქოს უნდა უსაყვედოს უსულო საგანს, რომელიც მოწმე იყო მათის პირველის შეუფლებისა.

—

დი-ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ანანო ოქროს მეუღლედ შეიქმნა. დიდი-ხანი არ არის მას შემდეგ, რაც იგი განთავდისაგან შუქ ნატრულ ღამის ზეცადიადივით ენთებოდა ხომე თვალ-ფირუზა ცქრიალა, როდეს ოქროსა ხვდებოდა... ამ ორის წუ წინად, სწორედ აღდგომა ღამესა დროს როდესაც მამა-დავითიეკლესიაში ლიტანიობდენ და აღთოვნებული ხალხი „ქრისტე აღგას“ გალობდა, მთის კალთაზე გარტოვებულნი ოქრო და ანანო ერანეთს დაეკონენ და ბრბოს საერო სიხარულს თავისი ბედნიერებაშეუერთეს... რას წარმოიდგენდა საცოლო ოქრო, თუ ცქრიალა ანანოროებით იქნებოდა გატაცებულისა როგორც ლაღი ფურ-ირემირბად დაეწაფება ხოლმე მთის ანა წყაროს და წყურვილ მოკლი მერე ნამიან ბალახს-ღა ამჯენებს... მალე მოსწყინდა ანანოქროს ღარიბი ცხოვრება, მდიდრობა ხიდგან თავის ნებით გამოსულ ანანო ვერ შეეჩვია „ბოგოლიუბოვიასაღლინსობას“ და მის სიყვარულ ლილა გაუცვიდა... აღარ აკმაყოლებდა ოქროს ალერსი და მოლება, ჩირადაც აღარ აგდებდა ამ წვალ კაცის თავდადებას და ბოლს იკმაღისაკ-კი მივიდა, რომ ხელ მოდერებით და ყვირილ შტიალ სიცოცხლეს უმწარებდა... სდა ხოლე ოქრო და მარტო ცრ-მორეულის თვალებით სთხოვდ გიყვარდ ისე როგორც მე მიყვარ, ჩვენი პირადობა ჩვენს ზნეობ მოვალეობას დავუნაცვლოთ დაბნიერები ვიქნებითო“. მაგრამ თხოვნა თხოვნათა რჩებოდა და გალაღებული სული ადამიანისა ფუფუნება-განცხრომით ცხოვრებას ელამუნებოდა....

ოქროც შრომობდა დღე და-ღამ ოფლს ღვრიდა, კუპის გასაძღომ სამეგზეს ალეკდა თავისს ძალ ღონეს, მაგრამ მაინც ღარიბადვე რჩებოდა. და აი დღეს, აღდგომისათვისაც კი, რიგიანად ვერ მოემზადა და ცოლმა შავი დღე დაუყარა, საშინლად წაეჩხუბა.

—

იწვა გულ-მოკლული ოქრო და ისევ ჰფიქრობდა. ჰფიქრობდა, ანანოზედ, ჰფიქრობდა თავისს გამწარებულ ცხოვრებაზე და შეყვარებული, სათნოებითა და მორჩილებით აღმესილი გული ბუდიდგან გადმოფრენას უპირებდა.

— ხვალ აღდგომაა ყველა ხარრობს და მე-კი... გალანძღულ დამცირებული უნდა ვიყო. მერე ვისგან, იმისგან ვისაც მე ვიღმერთებ-ვისაც ჩემი მე და ჩემი თავი შეეწირე. ოხ, ანანო, ანანო, რა გიყო? ნეტა არ მიყვარდე მაინც! წამოიძახა ოქრომ, როდესაც კიდევ შემოეესმა ცოლის ბუზღუნი და მთაწმინდის იმ კალთას დააკერდა, სადაც ანანო პირველად ცრემლით ეევედრებოდა: „ნუ მეტყვი უარს და თუნდა მოსარეცხეთ დავდგებიო.“

დააკერდა დიდხანს დიდხანს, აწინდელი მწარე ფიქრები თანდათან მოგონებათ შეეცალა, შუბლი გაეხსნა, თვალები კელაპტარივით ანანო და ერთხელ კიდევ მიეცა იმ ტკბილ ოცნებას, რომელმაც ამ ორის წლის წინად ბედნიერება აგრძნობინა... აწმყოთი გულ მოკლულ ადამიანს მარტო ტკბილი წარსული და ან მომავალი თუ-და ასულდგმულებს! მაგრამ ამ ბედნიერებას რაღაც შხამი მორეოდა, შხამი გულის ტკივილისა. შხამი გაცრუებულის იმედისა!...

II

დაყრუდა, დაცხრა ამობოქრებული ქალაქი, თითქოს დიადის წამის დადგომას სულ განაბული უცდისო. მარტო მტკვარი განრისხებული მობურტყუნებდა და ტალღას ტალღას ესეროდა. მთვარის შუქით დაოქრული მთა-წმინდა შარავანდედით შემოსილიყო და ჩამინებული ბუნება სუსტად ვმინავდა.

ცხოვრების უკუღმართობით გულნატკენი, ცოლის ფუქსავატობით დაჩაგრული და ბრბოს გონება-სიჩლუნგით გახელებული ოქრო ამ ჟამად დამორჩილებოდა დიადის დღესასწაულის ზედ-გალენენას და მისცემოდა ქრისტეზე ფიქრსა. ესეც კეთილ-მორწმუნობაში იყო აღზდილი, მაგრამ მუდმივ დაკვირვებას, ცხოვრების საჭიროებათა გათვალისწინებას ფრთები შეეკვეცნა მისის რწმენისათვის, და ბრბოს ფლიდობა-გაუნათლებლობას, მომაკვდავ მქადაგებელთა ცრუ-მორწმუნეობა-ანგარაებას ცოტა არ იყოს გული გაეგრილებინათ ოქროსთვის, მაცთურებისაგან გამოეყენანთ. სწამდა-ღა ქვეყნად მარტო სიმართლე, სიმართლე შეუმწიკველი, არა მზაკვრობაში და ფლიდობაში გახვეული, არამედ პიტალო, ყოველის ბოროტების შუა გამგმირი, პირ-და-პირი ვით შურდული და ყოველის პიროვნების განმასამართლებელი! და აი ახლა ამ სიმართლის მქადაგებელს დამონავებდა მისი ოცნება. იგი ქრისტესათან იყო...

ქრისტე!.. რა დიადი [illegible] თვ-გაიწირვისა და მიბაძვისა... მაგრამ ბრბო? ბრბო-კი—უსამართლოა უსამართლო! გაიფიქრა ოქრომ და მხარი იცვალა. ბრბომ მოჰკლა იგი და მერე-კი გაიდმერთა... ჯერ ჯვარს აცვა და მერე-კი ცრემლი დაუკაკუნა ოხ ბრბო, ბრბო, ნეტა ვინ მოვა შენს ოხტში, ნეტა ვინ მოგაწონებს თავის დროზე თავსა? არავინ! ამ დროს ოქრო ფიქრით გეთსიმანის ბაღში იყო, და ქრისტესთან ერთად ლოცულობდა წაწყმედილ კაცობრიობისათვის!..

—

ჩაეძინა ოქროს... ოცნება საზზრათ გადაეცა და იგიც იერუსალიმში მოეკა.

— ჯვარს აცვით, ჯვარს აცვით ეგე!.. ჭყვიროდა ბრბო და თითათ უჩვენებდა ქრისტეზედ.

ქრისტე-კი თავ-ჩაღუნული იდგა და პილატეს კითხვაზედ პასუხს არ აძლევდა.

— რა არის ჭეშმარიტება? ეკითხებოდა იგი.

ჭეშმარიტება შენის ძიებაა უსამართლობის წინააღმდეგაო—უნდა დაეყვირნა ოქროს, რადგანაც სიზზრაზედაც გულში თანამედროვე საზოგადოების უსამართლობა ჩაჭყოლოდა. მაგრამ ენა არ ემორჩილებოდა და დაბდურივით აქეთ იქით ეხეთქებოდა. ამ დროს ვიღაცამაც თავში ხელი ჩაჰკრა... ოქროს თვალთ დაუბნელდა წაბარბაცდა და როდესაც გონს მოვიდა, იუდა მოსდგომოდა გვერდით და გოლგოთასაკენ ხელს უშვერდა.

გოლგოთაზე სამი ჯვარი იდგა, სამთავეზე ჯვარცმულები მიელურსმთ და ბრბო სიცილ-ხარხარით ტაშს უკრავდა...

— დასტკბით, დასტკბით მე ჩაგიგდეთ ხელში თქვენი მეუფეეო, ხმა მაღლა ჭყვიროდა იუდა ისკარიოტელი და თან ფულის ქისას ხელში ათამაშებდა...

ოქროს იუდას დანახვაზედ გული ყელში მოებჯინა, სისხლი თვალებში მოაწვა და ის იყო ყელში უნდა სცემოდა რომ უცნაურმა ხმაურობამ გამოაღვიძა.

—

ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა! გაიძახოდა ქუჩაში მიმავალი ხალხი და აჩქარებით საყდარში მიეშურებოდა, ქალაქის საყდრების ზარები განუწყვეტლად რეკდენ და ტფილისს ერთი ღრიანცელი შესდგომოდა.

გულ გახეთქილი ოქრო წამოხტა ფეხზე, ყველაფერი გაითვალისწინა შეკრთა, ერთხან შეყოყმანდა და მერე აღტაცებული გამოიჭრა მეორე ოთახში რომ წაჩხუბებულ და გაკაპასებულ ცოლს შერიგებოდა, შეენდო ყველაფერი და მისგან შენდობა ბა მოეთხოვნა. მართალი მარტო ჯამისა და ჩაცმა-დახურვისათვის ხომ არ არის „აღდგომა“. იგი სულით აღდგომისა და გულით განსპეტაკების დღეა!

— ქრისტე აღსდგა! ანანო ანგარიშ მიუცემლად გაიძახოდა ოქრო და თვალებით ცოლ! ეძებდა. ანანო-კი დიდიხანია ლიტანიაზე წასულიყო.

ოქრო გიჟივით გამოვარდა გარეთ და მახლობელ ეკლესიას მიაშურა. მაყურებელი ხალხი შემოხვეოდა საყდარს და მთლად გალაპლაპებული მშვენიერს სანახავს წარმოადგენდა.

ოქრომ საჩქაროდ გაარღვია ხალხი, ელვასავით მიირბინ-მოირბინა, და როდესაც ცოლი დაინახა აღტაცებით მიაძახა: ქრისტე აღსდგა, ჩემო სულიკო!

ანანომ ხმა არ გასცა, მხოლოდ ისეთის თვალით შეხედა, რომ ნათლად აგრძნობინა, რომ მასზედ ისევ გაჯავრებული იყო.

ახლა კი სულ მთლად ჩაითუთა საბრალო ოქრო, ცოლის გულცივობამ უკანასკნელ აღტაცებიდან გამოიყვანა, გაფაქტვით მიმოავლო თვალი ყველანი, უცხოდ მოეჩვენა და რომ ვერა გახდა სანუგეშებლად პირქვე დაემხო მაცხოვრის ხატის წინ.

ამ ე-მად ეს იყო მისი ნუგეშინის მცემელი, მისი ნათა საყუდრი. და ვინ იცის მერე რა დაეგრთებოდა.

თომაანთ კობა.

23 მარტი.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ.

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან).

21 მარტი.

პარიზი. სენატი. გარეშე პოლიტიკის შესახებ ბურჟუამ შემდეგი პასუხი მისცა ბარდუს: „ჩვენ სრულიადაც არ გადაგვიხვევია იმ აზრიდამ, რომელიც ბერტლომ წარმოსთქვა პარლამენტში, მაგრამ რადგანაც ვიცით რა მდგომარეობაშია დღეს მოლაპარაკება, მე მეტს ალარას ვიტყვი გარეშე იმისა, რაც ვსთქვი.

სხდომის გათავების შემდეგ ბურჟუას დიდხანს ჰქონდა ბჭობა მორენჰეიმთან.

პარიზი. გაზეთ „მატენ“-ის ცნობებით, სამთა კავშირის ერთს დიდს სახელმწიფოს, გამოუცვლია-რა შეხედულობა ეგვიპტის საქმის შესახებ უკანასკნელ მოლაპარაკების დროს გაუგებინებია, რომ მხოლოდ მეგობრულის გრძნობით იტალიის მიმართ განუცხადებია თანხმობა ეგვიპტის თანხიდამ მიეცათ ფული დონგოლის ექსპედიციისთვის, მაგრამ იმავ დროს განზრახავ არა აქვს ინგლისის ბატონობას ხელი შეუწყოს და ჰსურს რუსეთსა და საფრანგეთთან თანხმობა იქონიოს, რომ ამით ინგლისს მოაგონოს ეგვიპტიდამ ჯარები გაიყვანოსო. ელიან დეპეშას, რომელიც დამტკიცებს ამ განზრახვას. ამ განზრახვას ამ შემთხვევაში ხვალ ბურჟუას აცნობებენ.

ბერლინი. გერმანია-იაპონიის ხელშეკრულობის შესახებ მოლაპარაკება უკვე დასრულდა. ხელშეკრულობას აღდგომამდე მოაწერენ ხელს უთუოდ.

კონსტანტინოპოლი. სულთანმა ორდენს „შეფკატის“ ბრილიანტებით შემკული ლენტი უბოძა პრინცესა კლემენტინასა და ან. მარიალუიზას.

ბელგრადი. დღეს დედოფალი ნატალია პარისს წავიდა. მეფე ალექსანდრეც ხვალ მიდის და სალონიკს საღამოთი მოვა.

თავადის ფერდინანდის რუსეთში წასვლა გადადებულ იქმნა.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტოს“ ატყობინებენ ვადიგალფიდამ: „დერვიშნი დონგოლიდამ ჩრდილოეთისაკენ მიიწევენ, რომ აქ ეგვიპტის ჯარებს გზა შეუკრან, სადაც ამ ჟამად მიმშველი ჯარი მიეიდა. დონგოლის ემირი მთელის თავისის ჯარებით აბუ-ჰატმენს მიდის. ინგლისთან მეგობრულად განწყობილ ტომთა შორის დიდი აღელვება გამოიწვია იმ ამბავმა, რომ დერვიშებმა კასსალაზე იერიში მიიტანეს და გარს შემოერტყნენო.

ლონდონი. პარლამენტში დეპეშა წაიკითხა ჩემბერლენმა; დეპეშიდამ სჩანს, რომ მატაბელას მცხოვრებნი მოტოპას მთებში არიან და გზას უბრძენენ შეკვრას. ბულუვაიოს ერთის თვის სამყოფი საგზალი აქვს. ადგილობრივნი მცხოვრებნი, რომორც სჩანს, კარგად არიან შეიარაღებულნი. მეორე დეპეშიდამ, რომელიც კაპის ახალშენის გუბერნატორს მიუღია, სჩანს, რომ ბულუვაიოს საკმო ჯარები ჰყოლია, მაგრამ არ ჰქონიათ იარაღი. ასის ვერსის მანძილზედ ხალხი აჯანყდა.

ლონდონი. როგორც „რეიტერის სააგენტო“ იუწყება, მთავრობას განზრახავ თურმე აქვს კაპტაუნს 5,000 კაცი გაგზავნოს. ბრიტანიის სამხრეთ-აფრიკის კომპანიამ მიჰმართა თხოვნით მთავრობას 500 ჯარის-კაცი გაგზავნოს დაუყოვნებლივ ბულუვაიოს.

პრეტორია. რადგანაც როდეზიადამ ცუდი ამბები მოდის, ტრანსვალის მთავრობა წინადადებას წარუდგენს უმაღლეს კომისარს შეიარაღებული ბოერები მიიშველოს მატაბელანდაში აჯანყების მოსასპობადაო.

22 მარტი

პარიზი. სენატი. მილიარს ჰსურს გარეშე პოლიტიკის შესახებ დაეკითხოს, ხოლო პრეფოს—საზოგადო პოლიტიკის შესახებ. საარიენი თხოულობს, რომ ამ საგნების განსახილველად დღე ხვალინდელს სხდომაზე იქმნას დანიშნული, მაგრამ სენატმა დაადგინა, რომ ეს ორივე საგანი ხვალ იქმნან განხილულნი.

პარიზი. პარლამენტში დიდი შეკრებულებაა. ყველას დიდი სიცოცხლე ეტყობა. ალიპს ჰსურს ეგვიპტის საქმეთა შესახებ დაეკითხოს, ხოლო კოშერი მადაგასკარის კრედიტის განხილვას თხოულობს. ბურჟუამ მოითხოვა ალიპის მიერ აღძრული კითხვა დაუყოვნებლივ იქმნას განხილული, რაიცა მიღებულ იქმნა 303 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 251.

პარიზი. პარლამენტმა 309 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 213 ისა მიიღო დეპუტატის მაგის-მიერ წარდგენილი და მთავრობის მიერ მიღებული წინადადება, რომ მორიგს საქმეებს შეუდგნენ.

რომი. დერვიშებმა 13 მარტს თოფი დაუშინეს იტალიის უკანა ჯარს კასსალასთან, მაგრამ უნაყოფოდ.

კასსალას კომენდანტი 16 მარტს შემდეგს დეპეშას იწერებოდა: „ბრძოლა დაიწყო. მტერი მაკრამას მთაზე იყო. იტალიელებს ჯერ-ჯერობით ერთი ჯარის კაცი მოუკვდათ და 4 დაუჭრეს“.

ქაირი. სახელმწიფომ დანარჩენი 3.000,000 მანეთი გამოიტანა კასსიდამ. ამბობენ, უმცირესთა დელეგატებმა წინააღმდეგობა განაცხადესო.

პეკინი. ნება დართულ იქმნა სოჩიოს რკინის გზა გაიყვანონ.

საფრანგეთის ელჩი ჟერარი პეკინდამ გაიწვიეს.

ჩინეთის მთავრობა უარს ამბობს რუსეთთან საიდუმლო ხელშეკრულობა არა გვაქვს და სასურველი აზრსაც მივაღწიეთ უხელშეკრულობითთო.

ჩინეთი მსოფლიო სოფოსტო კავშირს შეუერთდა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 21 ᲛᲐᲠᲢᲘ.

	მეოდე�ლისა. მან.	კ.	ბავშვეულისა. მან.	კ.	ბეოდეულისა. მან.	კ.
ზუთ-მანეთიანი ოქრო.	7,50		—	„	—	„
5% მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურთ ბანკისა	—	„	—	„	217	
4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა.	—	„	—	„	100¼	
4% იმავე ბანკისა .	—	„	97¾		—	„
6% „ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . .	101		—	„	—	„
5% იმავე ბანკისა. .	99½		—	„	—	„
6% ტფილისის სათავადაზნაურთ ბანკისა	101		—	„	—	„
5% „ამავე ბანკისა .	99½		—	„	—	„
5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	98¼		—		—	„

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲓᲘᲚᲐᲠᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐ ᲘᲣᲠᲘ

დაბეჭდა ᲒᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲛᲘᲡᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲤᲣᲚᲘ

ᲗᲑᲘᲡᲨᲘ, ᲒᲠ. ᲑᲝᲚᲝᲥᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ.

ᲤᲐᲡᲘ — ᲠᲣᲑᲚᲘᲗ

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ეორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფი იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲐᲝᲑᲘᲗ:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სასარურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ს. ა. დუნაევა რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. ბრატასეგეიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ს. მ. ბუგინოგი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ს. ბ. კარაბეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით:

ი. ფ. ბრატასეგეიჩი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ს. მ. ბუგინოგი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკევობით.

ს. ბ. გურგო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ს. ბ. გურგო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის

დირექტორი სამგუ ნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ
Ა. Ი. ᲝᲠᲑᲔᲚᲘ

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲡ:

დილით 10-დან 2 საათამდე.

საღამოთი 4-დან 6 საათამდე.

ᲥᲘᲠᲐ-ᲣᲛᲫᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—94).

ᲥᲘᲠᲐᲕᲓᲔᲑᲐ

ზუთი ოთახი ავჭალის ქუჩა, № 21.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲡᲐᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ

სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებისა კავკასიაში, სერგიევის ქუჩაზე, ალიხანოვის სახლში № 16, გახსნილია დილის 9—2 საათ., საღამოს 5—8 საათ., კვირა და უქმე დღეებით დილის 9—12 საათ. შეიძლება წიგნებისა და ჟურნალების წაღება სახლში. პირობა: წელიწადში 4 მ., თვეში—40 კ., თითო შემოსვლა—2 კ. არის განყოფილება ბიბლიოთეკისა კავკასისა და აღმოსავლეთის შესწავლისთვის. სამკითხველო იღებს გაზეთებს და ჟურნალებს: 1, „Бирж. Вѣд.“, 2, „Вопр. филос. и псих.“, 3, „Вѣстн. Иностр. Литер.“, 4, „Вѣст. Евр.“, 5, „Восп и Об.“, 6, „Всем. Иллюст.“, 7, „Каспій“, 8, „Книжки Недѣли“, 9, „Лучъ“, 10, „Моск. Вѣд.“, 11, „Міръ Божій.“, 12, „Новости“, 13, „Нов. Вр.“, 14, „Нед.“, 15, „Нива съ прил.“, 16, „Нов. Сл.“, 17, „Нов. Печ.“, 18, „Петер. Жизнь“, 19, „Русс. Вѣд.“, 20, „Рус Л.“, 21, „Рус. Ар.“, 22, „Сѣв. Вѣст.“. ᲐᲓᲒᲝᲚᲝᲑᲘᲗᲝ: 23, „Кавк.“, 24, „Нов. Об.“, 25, „Тиф. Лист.“, 26, „Кав. Сельс. Хоз.“, 27, „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“. ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ: 28, „Мшакъ“, 29, „Ардз.“, 30, „Норъ-даръ“, 31, „Таразъ“, 32, „Агбюръ“, 33, «Мурчъ», 34, „Араратъ“, 35, „Базм.“, 36, „Ант. Асис.“, 37, „Айр.“, 38, «Шавигъ», 39, „Цахикъ“. (8—6.—4)

სამზღვარ გარეთიდამ დაბრუნებული

ᲔᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ

იღებს ფრანგულ და ლათინურ ენის გაკვეთილებს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲗ ᲛᲘᲣᲮᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ ᲑᲐᲜᲘᲚᲝᲜᲨᲘ. 3—2

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲗᲚᲔᲑᲘ.

ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოების წიგნთ-საცავში შემდეგი გამოცემანი ზ. ᲭᲘᲤᲘᲜᲐᲫᲘᲡ:

ᲛᲪᲣᲛᲐ ᲨᲣᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, ᲐᲜᲣ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲐᲒᲘᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲡᲪᲘᲡ, ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ Ზ. ᲐᲕᲐᲭᲘᲐᲜᲘᲫᲘᲡ: ᲐᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ. ᲤᲐᲡᲘ . . . . 60 Კ.

ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲛᲚᲘᲡ, ᲙᲝᲛᲑᲘᲡᲐ, ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ ᲖᲐᲚᲘᲡᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ. ᲤᲐᲡᲘ . . . . . 40 Კ.

ᲛᲐᲪᲘᲮᲕᲘᲗᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲐᲗᲐ. ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲐᲫᲘᲡᲐ ᲤᲐᲡᲘ . . . . 40 Კ.

ᲐᲑᲐᲗᲘᲐ ᲗᲔᲢᲠᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲬᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ, Ზ.—ᲬᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ . . 15 Კ.

ᲓᲚᲔᲥᲘᲡᲜᲘ ᲗᲛᲘᲡᲐ Ⴓ. ᲑᲝᲠᲝᲛᲘᲫᲘᲡ, ᲤᲐᲡᲘ . . . . . 5 Კ.

10—8

„ᲬᲔᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲬᲘᲒᲜᲗᲐ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ისყიდება შემდეგი წიგნები:

	მან.	კ.
საქართველის ისტორიისა და მწერლობის შესახებ.		
ქართლის ცხოვრება . .	8	„
გივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ .	8	20
საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა	1	„
საქართველოს ისტორია მ. ბროსესი	„	70
საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა. . . .	„	70
მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, მისივე.		10
ისტორიული ნარკვევი ალ. ᲥᲝᲜᲒᲘᲡᲘᲐ	1	50
წმ. ნინოს ცხოვრების ალი ვარიანტი ე. თაყაიშვილისა	„	40
სამი ისტორიული ქრონიკა მისივე.	1	„
ქრონიკები თ. ᲙᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ გამოცემულნი. . . .	3	„
საქართველოს გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილისა	3	30
სამცხე მისივე	„	25
ქართლი მისივე	„	25
მეფე დავით აღმაშენებელი ნ. ურბნელისა	„	40
მეფე გიორგი ბრწყინვალე, მისივე.	„	20
ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე.	„	25
ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე	„	50
თამარ მეფედ. კარიჭაშვილისა.	„	15
სვიმონ მეფე, მისივე . .	„	10
როსტომ მეფე, მისივე .	„	10
Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . .	1	25
Ш вып. . .	1	50
О грамматической литературѣ грузинскаго языка, его же . . .	„	50
Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же	3	„
Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова. . . .	2	„
Грузинскіе дворянскіе акты, его-же. . . .	„	60
Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили. . . .		60
переписка грузинскихъ царей съ россійскими государями. . . .	3	„
Сношенія Россіи съ Кавказомъ. С. Бѣлокурова.	3	„
Матеріалы для русской исторіи, его-же. . .	3	
Путешествіе по Гуріи и Адчарѣ Д. Бакрадзе	2	50
Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т.	7	50
Завѣщаніе царя Давида Возобновителя Ѳ. Жорданія . .		30

Дозволено цензурою, Тифлисъ 23 го Марта 1896 г. ᲡᲢᲐᲛᲑ Ⴓ. ᲗᲐᲠᲯᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲡᲬᲚᲝᲑᲘᲡ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ-ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ.